აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

ქუთაისი, თამარ მეფის #59
+995(431)240036
WWW.ATSU.EDU.GE
INFO@ATSU.EDU.GE
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი • Akaki Tsereteli State University

თანამედროვე უნივერსიტეტიდან თავისუფალი აზროვნებამდე

ცენტრ

- Აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს შრომის ბაზარზე მოთხოვნად სამივე საფეხურის აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს;
- საერთაშორისო თანამშრომლობით, ინტერნაციონალიზაციის პროცესებში აქტიური ჩართულობითა და ინკლუზიური გარემოს შექმნით წარმართავს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო, კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას, ხელს უწყობს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, პროფესიონალებად და ლიდერებად ჩამოყალიბებას.
- უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის შექმნა-გავრცელებასა და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების მხარდაჭერას.

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მზარდი ავტორიტეტისა და დადებითი იმიჯის მქონე, რაზეც მეტყველებს ყოველწლიურად საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტიგენტის ზრდა;
- იგი თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან და მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში;
- უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს საშუალება აქვთ, ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ფინანსურად სტაბილური საგანმანათლებლო დაწესებულება;
- გამოირჩევა რეგიონში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით;
- აქვს ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების სტრატეგია;
- ფუნქციონირებს პროფესიული განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი;
- ხორციელდება სტუდენტებისათვის მრავალფეროვანი კურიკულუმს გარე შემოქმედებითი აქტივობები.

- აირჩიეთ ტრადიციული და მუდმივად განახლებადი, ერთ-ერთი უძლიერესი სწრაფად მზარდი მრავალპროფილური რეგიონული უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც უწყვეტად ნერგავს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებს;
- ჩაერთეთ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მრავალფეროვან გაცვლით პროგრამებში (მათ შორის ERASMUS+) და გაიღრმავეთ ცოდნა;
- გამოიყენეთ ორმაგი დიპლომების აღების შესაძლებლობა;
- ისარგებლეთ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებით;
- მიიღეთ მონაწილეობა უნივერიტეტის განვითარებაში სხვადასხვა სტუდენტური პროექტით;
- აქტიურად ჩაერთეთ სამეცნიერო-კულტურულ ცხოვრებაში. სპორტული ინფრასტრუქტურა, სტუდენტური სამეცნიერო-შემოქმედებითი წრეები და კლუბები, თეატრალური დასი, ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები ამის კარგ შესაძლებლობას მოგცემთ;
- თქვენი იდეების ხორცშესხმასა და გავრცელებაში დაგეხმარებათ მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია ATSU FABLAB, მულტიმედიური და ვირტუალური ლაბორატორიები.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

უნივერსიტეტს აქვს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

განათლების, კვლევის, ადმინისტრირების ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობა და, ამავდროულად, უნივერსიტეტში მოღვაწე ყველა პირის პასუხისმგებლობაა. ხარისხის კულტურის განვითარება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრიორიტეტია. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას თითოეული ფაკულტეტის თავისებურებების გათვალისწინებითა და მისი ავტონომიურობის დაცვით, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებლობას შეთანხმებულ ფარგლებში.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო-მეთოდური მუშაობის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პედაგოგიური, საწარმოო და პროფესიული პრაქტიკის, მიმდინარე სასწავლო პროცესის წარმართვას ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის, დოქტორანტურის და პროფესიული პროგრამების დონეზე; აკადემიური პერსონალის, სტუდენტთა აღრიცხვასა და რეგისტრაციას; სასწავლო პროცესის ორგანიზაციასა და სრულყოფას; სასწავლო პროცესში სწავლება/სწავლის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშწყობას; ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ერთსაფეხურიანი, დოქტორანტურის და პროფესიული პროგრამების დონეზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების პროცესისათვის ხელშეწყობას.

სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან ელექტრონული სერვისებით: ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული დეკანატი, ელექტრონული სწავლების პორტალი, moodle.

უნივერსიტეტში კომპიუტერული ქსელის სრულფასოვანი ფუნქციონირების ადმინისტრირებას, გლობალურ ქსელთან კავშირისათვის აუცილებელი ტექნიკური პირობების უზრუნველყოფას ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური.





HYUNDAI
Kona

პროფესორ
მანანალეიბის

აკადემიური პროგრამები

საბაკალავრო პროგრამა **44**

ერთსაფეხურიანი პროგრამა **3**

სამაგისტრო პროგრამა **43**

სადოქტორო პროგრამა **8**

პროფესიული პროგრამა **18**

მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) პროგრამა

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა

უნივერსიტეტში მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკაა

(https://library.atsu.edu.ge/ge/8-473-chvens-shesaeb).

მას საფუძველი ჩაეყარა 1933 წელს აკად. გიორგი ახვლედიანის თაოსნობით და იგი ამჟამად წიგნადი ფონდით ერთ-ერთი უმდიდრესია საქართველოს ბიბლიოთეკებს შორის.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში გაერთიანებულია ნ. მუსხელიშვილისა და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების კოლექციები. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ბიბლიოთეკის ელექტრონული სერვისებით, გამოიყენონ მრავალფეროვანი სამეცნიერო ბაზები, ჩაერთონ ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სამეცნიერო ღონისძიებებში.

უნივერსიტეტის ეკონომიკური, ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის კოორდინაციასა და მართვას, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფას ახორციელებს ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ზრუნავს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის სტრატეგიისა და ერთიანი საკადრო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე.











აწსუ ფაკულტეტები

უცხოენოვანი პროგრამები

MA English Philology

MA Programme “Leaders”

One Step High Medical Education Programme “Medicine”

სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით



უცხოელი სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად ავითარებს საერთაშორისო თანამშრომლობას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ორმაგი დიპლომები სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად. ასეთი შესაძლებლობებია ლაქვილას უნივერსიტეტთან (იტალია), პოლონეთის სილეზიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან, რენის გამოყენებით მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტთან და რუანის უნივერსიტეტთან (საფრანგეთი).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამხრეთ უელსის უნივერსიტეტებს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ სამხრეთ უელსის უნივერსიტეტში მათთვის სასურველ ერთწლიან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის საფასურის 100% დაფარვით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამებია

(იხ. https://www.atsu.edu.ge/ge/office/14-fa/fpage/N2E5OWVkMGE)

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროგრამები:

გლობალური სტუდენტური გაცვლითი პროგრამა UGRAD
https://ge.usembassy.gov/ugrad/
ფულბრაიტის სამაგისტრო პროგრამა
https://ge.usembassy.gov/fulbright-graduate-student-program/
ფულბრაიტის პროგრამა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის
https://ge.usembassy.gov/facultydevelopment/
ფულბრაიტის პროგრამა სპეციალისტებისათვის
https://ge.usembassy.gov/fulbrightspecialistprogram/

დიდი ბრიტანეთის საბჭოს პროგრამები:

ჩივნინგის სამაგისტრო პროგრამა
https://www.britishcouncil.org/ge-education-funding-your-studies-ch

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროგრამები:

გერმანული აკადემიური გაცვლის სამსხურის (DAAD) სტიპენდიები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის
http://ic.daad.de/tbilissi/?i=59&l=2

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის პროგრამები

https://iec.gov.ge/

Erasmus + გაცვლითი პროგრამები:

1. იენის უნივერსიტეტი (გერმანია)
2. თესალონიკის უნივერსიტეტი (საბერძნეთი)
3. იაშის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
4. გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)
5. ლაქილას უნივერსიტეტი (იტალია)
6. პან-ევროპული უნივერსიტეტი (სლოვაკეთი)
7. ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია)
8. ოსტრავას უნივერსიტეტი (ჩეხეთი)
9. ჟეჩინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
10. ვერსალის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
11. ინსა-რენის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
12. დუსელდორფის უნივერსიტეტი (გერმანია)
13. მიუნსტერის უნივერსიტეტი (გერმანია)
14. რუანის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
15. ჩესტერის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
16. რუჟომბეროკის უნივერსიტეტი (სლოვაკეთი)
17. მინიოს უნივერსიტეტი (პორტუგალია)
18. ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთ უნივერსიტეტი (ნორვეგია)
19. ბიალისტოკის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
20. ლოძის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
21. ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
22. გრაცის უნივერსიტეტი (ავსტრია)
23. უშაკის უნივერსიტეტი (თურქეთი)
24. ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტი (თურქეთი)
25. ბოლუ აბანთ იზეთ ბაისალის უნივერსიტეტი (თურქეთი)

UNIVERSIT
FACULTY OF AGRISCIENCES
IN BRNO

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობისა და განვითარების სამსახური უზრუნველყოფს ურთიერთობების დამყარებას სხვა ქვეყნების სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან;

უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობას;

მემორანდუმების, ხელშეკრულებების მომზადებასა და გაფორმებას, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საქმიანობის კოორდინაციას;

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ხელშეკრულებები სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

(იხ. https://www.atsu.edu.ge/ge/office/14-fa/f-page/MzI0OGQ1NTA)

ამერიკის შეერთებული შტატები
1. მისურის უნივერსიტეტი
2. ჰავაის უნივერსიტეტი

ავსტრია
გრაცის უნივერსიტეტი

აზერბაიჯანი
1. აზერბაიჯანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი
2. ხაზარის უნივერსიტეტი
3. განჯის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. ნახჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. ნახჭევანის უნივერსიტეტი
6. ბაქოს სლავის ტიკის უნივერსიტეტი

დიდი ბრიტანეთი
1. ნოტინგემის უნივერსიტეტი
2. ბათსპას უნივერსიტეტი
3. მიდლსექსის უნივერსიტეტი
4. სამხრეთ უელსის უნივერსიტეტი

ესტონეთი
ტალინის უნივერსიტეტი

ესპანეთი
1. გრანადის უნივერსიტეტი
2. ალკალას უნივერსიტეტი

ჩეხეთი
1. მასარიკის უნივერსიტეტი
2. ტომას ბატას უნივერსიტეტი
3. ჩეხეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი
4. ევროპის ეკონომიკისა და პოლიტიკის ღია აკადემია (OEAEP)
5. მენდელის უნივერსიტეტი

პორტუგალია
1. მინიოს უნივერსიტეტი
2. ევორას უნივერსიტეტი
3. ავეიროს უნივერსიტეტი

პოლონეთი
1. ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი
2. ბიალოსტოკის უნივერსიტეტი

გერმანია
1. ბამბერგის უნივერსიტეტი
2. დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს უნივერსიტეტი
3. იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი
4. მიუნსტერის უნივერსიტეტი

თურქეთი
1. იედითეფეს უნივერსიტეტი
2. 19 მაისის უნივერსიტეტი
3. რიზეს უნივერსიტეტი
4. არდაჰანის უნივერსიტეტი
5. კავკასიის უნივერსიტეტი
6. ალანიის უნივერსიტეტი
7. ბოლუ აბანთ იზეთ ბაისალის უნივერსიტეტი
8. ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტი
9. უშაკის უნივერსიტეტი

ისრაელი
არიელის უნივერსიტეტის სამარიის ცენტრი

იტალია
ლაქვილას უნივერსიტეტი

ყაზახეთი
1. ასტანას სამედიცინო უნივერსიტეტი
2. შ. ესენოვის სახელობის ტექნოლოგიებისა და ინჟინერიის კასპიის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. ყარაგანდას სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ლატვია
1. რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი
2. ლატვიის უნივერსიტეტი
3. ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯი

ლიეტუვა
კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი

ჰოლანდია
ევროპის ახალი უნივერსიტეტი კერკრადე

ნორვეგია
1. ბერგენის უნივერსიტეტი
2. სამხრეთ - აღმოსავლეთ ნორვეგიის უნივერსიტეტი

რუმინეთი
1.ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი
2.იაშის სიცოცხლის მეცნიერებების ინსტიტუტი

საფრანგეთი
1. ვერსალის უნივერსიტეტი
2. რუანის უნივერსიტეტი
3. ლიონის უნივერსიტეტი
4. ინსა რენის უნივერსიტეტი

საბერძნეთი
1. თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი
2. პატრასის უნივერსიტეტი

სომხეთი
1. სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი
2. სომხეთის ეროვნული პოლიტექნიკური უნივერსიტეტი

სლოვაკეთი
1.პან-ევროპული უნივერსიტეტი (PEU)
2.სლოვაკეთის ტექნოლოგიური უნივერისიტეტი ბრატისლავაში

შვეიცარია
ფრიბურგის უნივერსიტეტი

შვეცია
სამეფო ტექნოლოგიური ინსტიტუტი KTH

უკრაინა
1. სურსათის ტექნოლოგიების ეროვნული უნივერსიტეტი
2. კიევის ეროვნული ეკონომიკური უნივერსიტეტი
3. კიევის ტექნოლოგიებისა და დიზაინის ეროვნული უნივერსიტეტი
4. ჰორბაჩევსკის ტერნოპოლის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უზბეკეთი
1.ტაშკენტის ქიმიური ტექნოლოგიების ინსტიტუტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტებია

(იხ. https://www.atsu.edu.ge/ge/office/14-fa/f-page/NzFlZGRkZjM):



ამერიკის შეერთებული შტატები
1. მისურის უნივერსიტეტი
2. ჰავაის უნივერსიტეტი

ავსტრია
გრაცის უნივერსიტეტი

აზერბაიჯანი
1. აზერბაიჯანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი
2. ხაზარის უნივერსიტეტი
3. განჯის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. ნახჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. ნახჭევანის უნივერსიტეტი

დიდი ბრიტანეთი
1. ნოტინგემის უნივერსიტეტი
2. ბათსპას უნივერსიტეტი
3. მიდლსექსის უნივერსიტეტი
4. სამხრეთ უელსის უნივერსიტეტი

ესტონეთი
ტალინის უნივერსიტეტი

ესპანეთი
1. გრანადის უნივერსიტეტი
2. ალკალას უნივერსიტეტი

ჩეხეთი
1. მასარიკის უნივერსიტეტი
2. ტომას ბატას უნივერსიტეტი
3. ჩეხეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი
4. ევროპის ეკონომიკისა და პოლიტიკის ღია აკადემია (OEAEP)
5. მენდელის უნივერსიტეტი

პორტუგალია
1. მინიოს უნივერსიტეტი
2. ევორას უნივერსიტეტი
3. ავეიროს უნივერსიტეტი

პოლონეთი
1. ვარშავის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი
2. ბიალისტოკის უნივერსიტეტი

გერმანია
1. ბამბერგის უნივერსიტეტი
2. დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს უნივერსიტეტი
3. იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი
4. მიუნსტერის უნივერსიტეტი

თურქეთი
1. იედითეფეს უნივერსიტეტი
2. 19 მაისის უნივერსიტეტი
3. რიზეს უნივერსიტეტი
4. არდაჰანის უნივერსიტეტი
5. კავკასიის უნივერსიტეტი
6. ალანიის უნივერსიტეტი
7. ბოლუ აბანთ იზეთ ბაისალის უნივერსიტეტი
8. ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტი
9. უშაკის უნივერსიტეტი

ისრაელი
არიელის უნივერსიტეტის სამარიის ცენტრი

იტალია
ლაქვილას უნივერსიტეტი

ყაზახეთი
1. ასტანას სამედიცინო უნივერსიტეტი
2. შ. ესენოვის სახელობის ტექნოლოგიებისა და ინჟინერიის კასპიის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. ყარაგანდას სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ლატვია
1. რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი
2. ლატვიის უნივერსიტეტი
3. ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯი

ლიეტუვა
კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი

ჰოლანდია
ევროპის ახალი უნივერსიტეტი კერკრადე

ნორვეგია
1. ბერგენის უნივერსიტეტი
2. სამხრეთ - აღმოსავლეთ ნორვეგიის უნივერსიტეტი

რუმინეთი
ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი

საფრანგეთი
1. ვერსალის უნივერსიტეტი
2. რუანის უნივერსიტეტი
3. ლიონის უნივერსიტეტი
4. ინსა რენის უნივერსიტეტი

საბერძნეთი
1. თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი
2. პატრასის უნივერსიტეტი

სომხეთი
1. სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი
2. სომხეთის ეროვნული პოლიტექნიკური უნივერსიტეტი

სლოვაკეთი
პან-ევროპული უნივერსიტეტი (PEU)

შვეიცარია
ფრაიბურგის უნივერსიტეტი

შვეცია
სამეფო ტექნოლოგიური ინსტიტუტი KTH

უკრაინა
1. სურსათის ტექნოლოგიების ეროვნული უნივერსიტეტი
2. კიევის ეროვნული ეკონომიკური უნივერსიტეტი
3. კიევის ტექნოლოგიებისა და დიზაინის ეროვნული უნივერსიტეტი
4. ჰორბაჩევსკის ტერნოპოლის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტი არის საერთაშორისო ასოციაციების წევრი

(იხ. https://www.atsu.edu.ge/ge/office/14-fa/fpage/ZDU5YTQ2NDQ):

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
(WORLD HEALTH ORGANIZATION - WHO)

უნივერსიტეტების პრეზიდენტთა საერთაშორისო ასოციაცია
(INTERNATIONAL ASSOSIATION OF UNIVERSITY PRESIDENTS – IAUP)

სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაცია
(INTERNATIONAL ASSOCIATION FOR MEDICAL EDUCATION – AMEE)

ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაცია
(THE ASSOSIATION OF MEDICAL SCHOOL IN EUROPE - AMSE)

ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო
(AGENCE UNIVERSITAIRE DE LA FRANCOPHONIE)

უნივერსიტეტში დაწესებულია სტიპენდიები

- სახელმწიფო
- საუნივერსიტეტო
- სახელობითი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უწყვეტი განათლების ცენტრი

ცენტრის მიზნებია: სწავლა-სწავლების უწყვეტობის პრინციპის ხელშეწყობა, ახალ გამოწვევებზე რეაგირება, საგანმანათლებლო სერვისების შეთავაზება, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, დაინტერესებული სამიზნე ჯგუფების კვალიფიკაციის ამაღლება რეგიონის ფარგლებში ტრენინგ-პაკეტებისა და სასწავლო კურსების, განმავითარებელი საზაფხულო სკოლების შემუშავება-განხორციელება, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან, არასამთავრობო/სამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნესსექტორთან თანამშრომლობა, საუნივერსიტეტო აქტივობებსა და ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა. 2012 წლიდან დღემდე უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ გადამზადდა 3600-მდე მსმენელი. ცენტრი ახორციელებს 94-მდე ტრენინგ-მოდულსა და სასერტიფიკატო კურსს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური

მისი საქმიანობის მიზანი არის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კონსულტირება და მხარდაჭერა.

აწსუ-ს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური საქმიანობს შემდეგი მიმართულებებით:

1. სტუდენტთა განცხადებების მიღება
2. კარიერული განვითარების ხელშეწყობა
3. ომბუდსმენი
4. ფსიქოთერაპევტი
5. ტუტორი
6. აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელი



უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის გამართულ და მიზანმიმართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს თვითმმართველობის მართვის ორგანოები. თვითმმართველობის მართვის ორგანოებია: სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტი, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატი და თვითმმართველობის გამგეობა.
სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტებია:
ა) სამეცნიერო დეპარტამენტი;
ბ) კულტურის დეპარტამენტი;
გ) სპორტის დეპარტამენტი;
დ) სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი.

უნივერსიტეტში მრავალფეროვანი სამეცნიერო-კულტურული ცხოვრებაა, ხორციელდება სტუდენტური პროექტები.
მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური უზრუნველყოფს: სხვადასხვა ღონისძიებების, მარკეტინგული პროექტებისა და პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას (სამეცნიერო პიკნიკი, ღია კარის დღეები, საგანმანათლებლო გამოფენები, დასაქმების ფორუმები და სხვ.); ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობას სხვადასხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში, მათ საინფორმაციო და საორგანიზაციო მხარდაჭერას; უნივერსიტეტის ოფიციალური ინტერნეტგვერდების მართვას (ვებგვერდი, სოციალურ ქსელი); მომხმარებელთა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით სხვადასხვა სახის გამოფენებში, პრეზენტაციებში, საგანმანათლებლო ბაზრობებში უნივერსიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობის მიღების კოორდინირებას; მარკეტინგული კვლევების წარმოებას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საჭიროებების გამოკვეთისა და დაკმაყოფილების ხელშესაწყობად.
წლების მანძილზე ახალგაზრდებში მეცნიერების პოპულარიზაციის, კვლევებსა და ინოვაციურ საქმიანობაში მათი ჩართულობის მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით უნივერსიტეტში წარმატებით ტარდება სამეცნიერო ფესტივალი. მასში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა უნივერისტეტები, საგანმანათლებლო და კველვითი დაწესებულებები, მუზეუმები, სკოლები.
მეცნიერებისა და ინოვაციების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად იმართება ღონისძიებები ეროვნული სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინოვაციური პოტენციალის წარმოსაჩენად, კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერისათვის, ამასთანავე, მეცნიერების მიმართულებით ახალგაზრდების მოტივირებისა და ინტერდისციპლინური კვლევების წახალისების მიზნით.
ფესტივალის ფარგლებში იმართება სამეცნიერო კონფერენციები.

პროექტი სტუდენტებისათვის „მე-უნივერსიტეტი“ 2016 წლიდან ხორციელდება. პროექტის მიზანია აწსუ-ს განვითარებაში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა.
პროექტის ფარგლებში, სტუდენტები უნივერსიტეტის თანამედროვე გამოწვევებისა და განვითარების სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინებით, წარმოაჩენენ თავიანთ ხედვასა და ინოვაციურ მიდგომებს.
უკვე წარმატებით განხორციელდა 12 სტუდენტური პროექტი, მათ შორის : „ეს ჩვენი სივრცეა“, ველო პარკინგი, აწსუ მოლაშქრეთა კლუბი, სტუდენტური სამეცნიერო ინოვაციური სივრცე (მზის ქალაქი), ფასდაკლებები აწსუ-ს სტუდენტებისთვის, თავისუფალი სტუდენტური სივრცე საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტზე, „გავაფერადოთ აწსუ“, ალბავარ კომიქსი, საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის ღია სივრცე „ჭკვიანი სახლი“.
უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომელიც მოიცავს ინოვაციურ პროექტებს, აკადემიურ კვლევებსა და ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას. გამოიკვეთილია მნიშვნელოვანი ასპექტები აკადემიური კეთილსინდისიერების დანერგვისა და განმტკიცების, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის, ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით.

Promotional Materials (https://www.atsu.edu.ge/ge/office/14-fa/fpage/YzRhMTI0ZDQ)



LISS24
Learn – Innovate – Sell – Succeed
(LISS24)
სახლი
DELL
სტუდენტური პროექტი
"მე უნივერსიტეტი"
"ჭკვიანი სახლი"

კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს კვლევითი აქტივობების განვითარებას როგორც აკადემიურ პერსონალში, ასევე სტუდენტებში. ცენტრი მხარს უჭერს აკადემიურ პერსონალს მოიპოვონ გრანტები, აღმოაჩინონ ახალი შესაძლებლობები და მიმართულებები კვლევის ნებისმიერ სფეროში, ეხმარება მათ სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებაში და საშუალებას აძლევს სტუდენტებსა და დოქტორანტებს განავითარონ მათი კვლევითი აქტივობები.
კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი ორგანიზებას უწევს სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებს ზრუნავს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კვლევითი ფონდების, პროექტების, პროგრამებისა და სამეცნიერო ჟურნალების შესახებ საინფორმაციო-ელექტრონული პლატფორმის შექმნასა და განვითარებაზე. უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელების, კვლევითი მეთოდების გამოყენების ხერხების, სტატიების მომზადების, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში მუშაობისთვის აუცილებელი უნარების დახვეწის მიზნით ტრენინგების ჩატარებას, სტუდენტთა ნაშრომების პოპულარიზაციას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან კვლევით აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობას. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე ეს შეიძლება იყოს:

1. ექსპედიციებში მონაწილეობა;
2. კვლევით პროექტებში ჩართულობა;
3. ლაბორატორიული სამუშაოები;
4. სამეცნიერო/სტუდენტური კონფერენციები;
5. ინდივიდუალურ კვლევებზე მუშაობა;
6. სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში ჩართულობა.



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი ხელმძღვანელობს და ახორციელებს უნივერსიტეტში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროსთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო საქმიანობას.
ცენტრის ფუნქციები და ამოცანებია:
უნივერსიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი, სასწავლო-სახელოვნებო მრავალსპექტრიანი საქმიანობა, საუნივერსიტეტო შემოქმედებითი მოღვაწეობის პოპულარიზაცია, სტუდენტებისა და პერსონალის შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმაზე ზრუნვა, მათი ნიჭისა და სურვილის გათვალისწინებით; თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება, უნივერსიტეტის სტუდენტების ჰარმონიული განვითარებისა და სახელოვნებო სივრცეში მოზიდვის მიზნით; უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში; საქართველოში ხალხური ფოლკლორის შენარჩუნებაზე, განმტკიცებასა და პოპულარიზაციაზე ზრუნვა; საუნივერსიტეტო სპორტის განვითარება, სპორტის პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების, უნივერსიადების ორგანიზება სტუდენტ-ახალგაზრდობასა და თანამშრომლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „კოლხა“ ჩამოყალიბდა 1996 წელს, უნივერსიტეტის სტუდენტთა ბაზაზე. აღნიშნული პერიოდიდან ანსამბლმა განვითარების რთული და ნაყოფიერი გზა გაიარა. შექმნის დღიდან ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფია, ამაგდარისა და ბრწყინვალების ორდერის კავალერი, ედვარდ მურცხვალაძე. ანსამბლში 2004 წლიდან პედაგოგ-მასწავლებლად მოღვაწეობს ამავე ანსამბლში აღზრდილი თეონა გაგოშიძე.
ანსამბლი „კოლხა“ არის არაერთი ეროვნული და მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი და მრავალი პრიზის მფლობელი. ანსამბლი თავისი ისტორიის განმავლობაში საგასტროლოდ იმყოფებოდა მსოფლიოს ოცზე მეტ ქვეყანაში: თურქეთში, საბერძნეთში, ბულგარეთში, იტალიაში, საფრანგეთში, რუმინეთში, უნგრეთში, სლოვაკეთში, ესპანეთში, ბელგიაში, ისრაელში და სხვა.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი „ადილა“ ჩამოყალიბდა 2000 წელს. 2001 წელს გაიმარჯვა სტუდენტურ ფესტივალზე, სადაც შედგა ანსამბლის პირველი ნათლობა. 2003 წელს ანსამბლი დაჯილდოვდა ხობის საერთაშორისო ფესტივალზე ვერცხლის მედლით. 2004 წელს მონაწილეობა მიიღო ჰოლანდიაში გამართულ გუდასტვირების ფესტივალში. 2004 წელს ქუთაისის მერიამ დააჯილდოვა „ადილა“, როგორც ყველაზე აქტიური შემოქმედებით ჯგუფი. 2007 წელს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო „ჩვენებურების“ გალა-კონცერტში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ცნობილ ანსამბლებთან ერთად. იმავე წელს გერმანულ-ქართული თეატრის ანსამბლთან „ბაგრატი“ კონცერტები გამართა გერმანიასა და შვეიცარიაში.
2009 წელს „ადილა“ წარმატებით მონაწილეობს ანსამბლ „კოლხასთან“ ერთად ანკარაში გამართულ მსოფლიო ფესტივალზე. 2009 წელს ანსამბლი გახდა ფესტივალის „სულიკო“ გამარჯვებული და გრან-პრის მფლობელი. 2012 წელს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ფესტივალზე და დაჯილდოვდა ფოლკლორული ანსამბლების სერტიფიკატით.
ანსამბლ „ადილას“ ჩაწერილი აქვს 3 სიდი დისკი.

უნივერსიადა ყველაზე მასშტაბური სპორტული ღონისძიებაა, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოსინჯონ ძალები.
თეატრალური დასი არის ახალგაზრდული შემოქმედებითი გაერთიანება, რომელიც ხელს უწყობს მხატვრული თვითგამოხატვის განვითარებას, კულტურული ცხოვრების გამდიდრებას უნივერსიტეტში.
ფაკულტეტებზე ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო და შემოქმედებითი წრეები, უცხო ენათა, მთარგმნელობითი, კინო, დრამა, დებატ კლუბები, ლაბორატორიები.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - კულტურათა დიალოგის სივრცე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თანაცხოვრება კულტურათა დიალოგის უნიკალურ სივრცეს ქმნის - სადაც ტრადიცია და სიახლე ჰარმონიულად ერთიანდება. უნივერსიტეტი ქმნის ისეთ გარემოს, სადაც ქართველი და უცხოელი სტუდენტები, სხვადასხვა კულტურის მქონე ახალგაზრდები, არა მხოლოდ ცოდნას, არამედ გამოცდილებას, ტრადიციებს და ღირებულებებსაც უზიარებენ ერთმანეთს.

უნივერსიტეტში სხვადასხვა საინტერესო მუზეუმია.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ენების შემსწავლელი, ქართველოლოგიის, ამერიკის შესწავლის ცენტრები.

აკაკი წერეთელის სახელმწიფო
უნივერსიტეტს უამრავი
წარმატებული
კურსდამთავრებული ჰყავს

https://alumni.atsu.edu.ge